თანხმობა

მე ნინო ბერიძე (პ/ნ 01019021097) 2022 წლის 23 მაისს ბრძანება N 5949264 ით შეთანხმებული პროექტის (AR1860646; მიწის ს/კ 01.72.14.035.963; ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქ.22.24) თანაავტორი/არქიტექტორი, გამოვთქვამ სრულ თანხმობას, მასზედ რომ მოხდეს აღნიშული არქიტექტურული პროექტის კორექტირება და დასამტკიცებლად და ნებართვის მისაღებად წარედგინოს ქ. თბილისი მერიას და მის შესაბამის სამსახურს.

ნინო ბერიძე

06.04.2023

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230444117
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	06.04.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო სალაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ც. დადიანის #105
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 660 383
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	94853251084223

ჩემთან, ნოტარიუს ნინო სალაძესთან სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის 105, გამოცხადდა: ნინო ბერიძე (დაბადებული 04/10/1968 წელს, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზესტაფონის ქუჩა, N 19ა, ბინა 43, პირადი #01019021097). მან წარმომიდგინა ნინამდებარე თანხმობა და მოითხოვა თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მისი ვინაობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ქმედუნარიანობა შევამოწმე და დავრწმუნდი რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მან დაადასტურა რომ იგი სრულად შეესაბამება მის ნებას და პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა ნინამდებარე დოკუმენტს, რის შემდეგაც მე ვამოწმებ ხელმოწერის ნამდვილობას და არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების სისწორეს.

ერთ ეგზემპლარზე ხელმონერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმებისათვის გადახდილია საზღაური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება #507-ს ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ) 31-ე მუხლის შესაბამისად 6,00 (ექვსი) ლარი + დღგ 1,08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად + 5 (ხუთი) ლარი იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, სულ 12,08 (თორმეტი ლარი და რვა თეთრი) ლარი.
ნოტარიუსი ნინო სალაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18